

ფინანსური ინსტიტუტის მიერ გასაფორმებელი სესხის ხელშეკრულების ძირითადი თავისებურებები

ლევან დუნდუა¹, გივი კაკუშაძე²

¹ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, შატილის ქ. N4.

²სამართლის მაგისტრი, ადვოკატი.

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთ აქტუალურ და სპეციფიკურ საკითხს, კერძოდ, ფინანსური ინსტიტუტის მიერ საქმიანობის ფარგლებში დადებულის სესხის ხელშეკრულების ძირითად თავისებურებებს, გასათვალისწინებელ ფორმას და პირობებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გარდა, ფინანსური ინსტიტუტები სესხის ხელშეკრულების ფორმასთან და პირობებთან დაკავშირებით იყენებდნენ 2017 წელს ამოქმედებულ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანებით დამტკიცებულ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესს“. ნიშანდობლივია, რომ 2021 წლის 09 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ახალი რედაქციით დაამტკიცა მითითებული წესი. განახლებულ დოკუმენტში გვხვდება ძირეული ცვლილებები და სიახლეები, რომელთა სწორად გაანალიზება მნიშვნელოვანია იმ სესხის ხელშეკრულების შედგენისას, რომელსაც ფინანსური ინსტიტუტი მომხმარებელს, როგორც მსესხებელს სთავაზობს. წარმოდგენილ ნაშრომში მიმოხილული იქნება ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც ფინანსურმა ინსტიტუტმა სესხის ხელშეკრულების შედგენისას უნდა გაითვალისწინოს.

საკვანძო სიტყვები: სესხის ხელშეკრულება, ფინანსური ინსტიტუტი

შესავალი

2016 წლიდან სესხთან მიმართებაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა¹, რომლითაც შეიზღუდა სახელშეკრულებო თავისუფლების ისეთი ფუნდამენტური პრინციპები როგორცაა: ხელშეკრულების დადების თავისუფლება და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება.² საპროცენტო

¹ საქართველოს 2016 წლის 29 დეკემბრის კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია:

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3534478?publication=0#DOCUMENT:1;>> [10.05.2021].

² ავტორთა კოლექტივი: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., და სხვები, რედ.: ჯუღელი ი., სახელშეკრულებო სამართალი (სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2014, 102.

ვალდებულებებში „სახელშეკრულებო თავისუფლების“ პრინციპი ჩაანაცვლა „სახელშეკრულებო სამართლიანობის“ პრინციპმა.³

2018 წლის ივლისის სამოქალაქო კოდექსის ცვლილებებმა⁴ კიდევ უფრო გაამკაცრა ფინანსურ ინსტიტუტებსა და მომხმარებლებს შორის სასესხო ურთიერთობების რეგულირების საკითხი. უფრო კონკრეტულად კი გამკაცრდა სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს განსაზღვრის წესი, მეწარმე სუბიექტისათვის ფიზიკური პირებისაგან ფულადი სახსრების მოზიდვის თავისუფლება. სსკ-ის 625-ე მუხლის მე-2 ნაწილით კი შემცირდა სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და ნაცვლად 100 პროცენტისა მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა 50 პროცენტით.⁵

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო კოდექსში შესულ ცვლილებებს პარალელურად ფეხს უწყობს ისეთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება, როგორცაა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N151/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი“, რომელიც ამჟამად მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 2021 წლის 09 მარტს N32/04 ბრძანებით დამტკიცებული რედაქციით. ამ წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი არეგულირებს საფინანსო პროდუქტების შეთავაზებისა და მიწოდებისას, ასევე, საფინანსო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესებსა და პრინციპებს, რაც მოიცავს ასევე, სრული, აუცილებელი, გასაგები, უტყუარი და თავისდროული ინფორმაციის თანმიმდევრული მიწოდების საკითხებს. ამავე წესის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი: ამ წესის შემუშავების მიზანია საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, ასევე, საფინანსო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების, მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვისა და ბაზარზე არსებული საფინანსო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც მომხმარებლის მიერ ახალი საფინანსო პროდუქტების აქტიურ გამოყენებას, ასევე მათთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკების შემცირებას.

³ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 384-ე მუხლის კომენტარი, წიგნი III, რედ.: ლ. ჭანტურია, გამომცემლობა „სამართალი“, 2001, 336.

⁴ საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4273979?publication=0#DOCUMENT:1;>> [10.05.2021].

⁵ დუნდუა ლ., კაკუშაძე გ., სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული თანამედროვე ცვლილებები, როგორც ჭარბვალუანობისგან დაღწევის საშუალება?!, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, N 3-4 (43-44), თბილისი, 2018, 64.

განმარტებითი ბარათში,⁶ საქართველოს კანონის პროექტზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, ინიციატორებმა კანონპროექტის მიღების მიზეზად შემდეგი არგუმენტები მიუთითა: მოსახლეობის დაბალი ფინანსური განათლების პირობებში მსესხებლებს უჭირთ ობიექტურად შეაფასონ ვალის ტვირთი და მისი მომსახურების შესაძლებლობა. დამატებით, ხშირ შემთხვევაში, მსესხებელი ზედმეტად ოპტიმისტურადაა განწყობილი თავის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართებაში. ასეთ პირობებში, სესხების აგრესიული მარკეტინგი და მათი გამარტივებული ხელმისაწვდომობა აჩენს საფრთხეს, რომ შინამეურნეობამ აიღოს ჭარბი ვალი და გახდეს ვალაუფალი. ასეთ შემთხვევაში, მსესხებელს, როგორც წესი, ეზღუდება წვდომა საბანკო ანგარიშზე და პოტენციური სამართლებრივი აღსრულების შიშით, უმცირდება ფორმალური დასაქმების მოტივაცია, რაც პრობლემას წარმოადგენს მთლიანად ეკონომიკისთვის. ამასთან, უარესდება მოსახლეობის ამ ნაწილის სოციალური მდგომარეობა და იზრდება მისი საზოგადოებიდან გარიყვის რისკები.

საბოლოო ჯამში, როგორც ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის, ასევე სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებების ძირითად მიზნად შეიძლება გამოვყოთ ფინანსური ინსტიტუტის მიერ გასაწევ/გაწეულ მომსახურებაზე მომხმარებელთა ინფორმირებულობის მაქსიმალური უზრუნველყოფა და მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომში განხილული იქნება ფინანსური ინსტიტუტის მიერ სესხის ხელშეკრულების მომხმარებელთან (მსესხებელთან) გაფორმებისას გასათვალისწინებელი აუცილებელი პირობები (ინფორმაცია). ცალკე თავებად იქნება განხილული ხელშეკრულების თავსართში და ძირითად ნაწილში გასათვალისწინებელი პირობები, ხოლო ბოლოს, დასკვნის სახით იქნება შემოთავაზებული პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები.

თავი 1. ფინანსური ინსტიტუტის მიერ სესხის ხელშეკრულების თავსართში გასათვალისწინებელი აუცილებელი ინფორმაცია

ფინანსური ინსტიტუტის მიერ სესხის ხელშეკრულების გაფორმებისას, ხელშეკრულების თავსართში განსათავსებელ პირობებს ითვალისწინებს ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მე-6 მუხლი. მითითებული მუხლის თანახმად ხელშეკრულების თავსართში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) ხელშეკრულების თავსართს უნდა ჰქონდეს სავალდებულო სათაური – „ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები“ და მასში ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს მომხმარებლისათვის ადვილად აღსაქმელი ფონტის ზომით, მაგრამ არანაკლებ 12-

⁶ განმარტებითი ბარათი, საქართველოს კანონის პროექტზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/186591?>> [10.05.2021].

ისა. ხელშეკრულების თავსართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ის უნდა განთავსდეს ხელშეკრულების საწყის, ხელშეკრულების სხვა პირობებისგან განცალკევებულ არაუმეტეს ორ გვერდზე. საჭიროა თავსართში მიეთითოს პროდუქტის დასახელება, ხელშეკრულების ნომერი და თარიღი.

ბ) თავსართში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთების შესახებ. უნდა მიეთითოს ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის ტიპის შესახებ, რომელიც შესაძლოა იყოს ფიქსირებული, ინდექსირებული ან ცვლადი. ასევე, პირობა წლიური საპროცენტო განაკვეთის შესახებ და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ. უნდა მიეთითოს ის დაშვებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც გამოყენებული იქნა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში.

ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის თანახმად, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის განმავლობაში ასევე, საპროცენტო განაკვეთი, რომელიც იცვლება ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ყოველი ცალკეული პერიოდისათვის წინასწარ შეთანხმებული უცვლელი საპროცენტო განაკვეთით. თუ ხელშეკრულების ცალკეული პერიოდისთვის/პერიოდებისთვის საპროცენტო განაკვეთი ცალსახად არაა უცვლელი და წინასწარ შეთანხმებული, საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულად ჩაითვლება მხოლოდ ხელშეკრულების იმ პერიოდისთვის/პერიოდებისთვის, რომლისთვისაც საპროცენტო განაკვეთი ცალსახად უცვლელი სახითაა შეთანხმებული. ამასთან, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაუშვებელია მომხმარებლისთვის ისეთი ხარჯის დაკისრება, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს ფინანსურ ხარჯს და მისი ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრების შემთხვევაში გაიზრდებოდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული. ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, უნდა მიეთითოს ინდექსი, რომელზეც საპროცენტო განაკვეთია მიბმული. ცვლადი საპროცენტო განაკვეთი კი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის ცვლილება შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული გარემოებების (გარდა საჯარო ინდექსის ცვლილებისა და ცალმხრივი ცვლილებების დაუშვებლობის შემთხვევებისა) დადგომის შემთხვევაში. ცვლად საპროცენტო განაკვეთად არ მიიჩნევა საპროცენტო განაკვეთი, რომელიც იცვლება მხოლოდ ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული და მომხმარებლების ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომის გამო.

გ) ხელშეკრულების თავსართში უნდა მიეთითოს ინფორმაცია იმ ფინანსური ხარჯების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში. ფინანსური ხარჯი არის ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია ფინანსური ორგანიზაციის მიერ და მომხმარებლის მიერ საფინანსო

პროდუქტის მიღების, შენარჩუნებისა და მისი სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევი აუცილებელი ხარჯია.

დ) ხელშეკრულების თავსართში მითითებული უნდა იყოს ფინანსურ ინსტიტუტში არსებული პრეტენზიის წარდგენის ფორმების ჩამონათვალი. მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ინსტიტუტის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

ე) თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს მასში მოცემული პირობების ფინანსური ინსტიტუტის მიერ ცალმხრივი ცვლილების შესაძლებლობას, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს ხელშეკრულების თავსართში. ხელშეკრულების თავსართში უნდა მიეთითოს ხელშეკრულების პირობების ცვლილების შემთხვევაში მომხმარებლის ინფორმირების ხელშეკრულებით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხი და ვადა. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება უნდა მოხდეს ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე.

ვ) ხელშეკრულების თავსართში უნდა მიეთითოს სესხის ვადა, სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა, სესხის მთლიანი თანხა, მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა.

ზ) უცხოური ვალუტით გაცემული სესხის შემთხვევაში, დამატებით, ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში გაანგარიშებული სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

თ) უცხოური ვალუტით გაცემული ინდექსირებულ განაკვეთიანი სესხისთვის, დამატებით, სესხის გაცემიდან ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ინდექსის შესაძლო 3 პროცენტული პუნქტით, ხოლო ლარში გაცემული ინდექსირებულ განაკვეთიანი სესხისთვის, დამატებით, ინდექსის შესაძლო 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში გაანგარიშებული სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ი) ხელშეკრულების თავსართში მითითებული უნდა იყოს შესაძლო პირგასამტეხლოს ოდენობა და მისი გაანგარიშების წესი.

კ) ხელშეკრულების თავსართში მითითებული უნდა იყოს სესხის ვადაზე ადრე დაფარვის უფლება და შესაძლო დამატებითი ხარჯები, რომელიც წარმოიშობა ამ უფლების გამოყენებისას, აღნიშნული ხარჯების სიდიდე ან გამოთვლის მეთოდი, მათ შორის, სესხზე საშეღავათო პერიოდის არსებობისას, სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტის და სხვა ხარჯების დაფარვის პრინციპი/წესი.

ლ) თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს სესხის გაცემას უცხოური ვალუტით, ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა გააკეთოს ჩანაწერი შემდეგი ფორმულირებით: „უცხოური ვალუტით აღებული სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე

აყენებს!“ აღნიშნულ ჩანაწერს უნდა მოსდევდეს: „ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს“, ასევე, უცხოური ვალუტით გაცემული სესხის შემთხვევაში, დამატებით, ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში გაანგარიშებული სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

მ) თუ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი, ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა გააკეთოს ჩანაწერი შემდეგი ფორმულირებით: „ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთიანი სესხი (გარდა ინფლაციის ინდექსზე მიბმულისა) მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!“ აღნიშნულ ჩანაწერს უნდა მოსდევდეს: „საჯარო ინდექსის ცვლილებამ შესაძლოა შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს“, ასევე, უცხოური ვალუტით გაცემული ინდექსირებულ განაკვეთიანი სესხისთვის, დამატებით, სესხის გაცემიდან ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ინდექსის შესაძლო 3 პროცენტული პუნქტით, ხოლო ლარში გაცემული ინდექსირებულ განაკვეთიანი სესხისთვის, დამატებით, ინდექსის შესაძლო 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში გაანგარიშებული სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ნ) ხელშეკრულების თავსართში ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა განათავსოს შემდეგი წინადადება: „გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406“.

თავი 2. ფინანსური ინსტიტუტის მიერ სესხის ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელი აუცილებელი პირობები

წინა თავში მიმოხილული ის აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც განთავსებული უნდა იყოს სესხის ხელშეკრულების თავსართში. წინამდებარე თავში ჩვენ განვიხილავთ იმ აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც უნდა განთავსდეს ფინანსური ინსტიტუტის მიერ უშუალოდ სესხის ხელშეკრულებაში. სესხის ხელშეკრულებაში განსათავსებელ ძირითად პირობებს ითვალისწინებს ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მე-7 მუხლი. აღსანიშნავია, რომ სესხის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ნაშრომის პირველ თავში ბ-მ პუნქტებში მოცემული პირობები, ამიტომ ამ თავში ამ საკითხებს იშვიათი გამონაკლისების გარდა აღარ შევხებით და ვისაუბრებთ იმ პირობებზე, რომელიც დამატებით უნდა განთავსდეს სესხის ხელშეკრულებაში.

სესხის ხელშეკრულებაში პირველ თავის ბ-მ პუნქტებში მითითებული პირობების გარდა, სავალდებულოა განთავსდეს შემდეგი პირობები:

ა) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს იმ ინდექსის საჯარო ხელმისაწვდომობის წყარო, რომელზეც საპროცენტო განაკვეთია მიბმული. ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია იმის

შესახებ, თუ რა რეგულარულობით და ფორმით მიეწოდება მომხმარებელს ინფორმაცია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მიერ მიღებული მნიშვნელობების შესახებ. ამასთანავე, მითითებული უნდა იყოს ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დეტალური წესი.

ბ) სესხის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს ფინანსურ ინსტიტუტში პრეტენზიის წარდგენის ფორმები, რომელიც შესაძლოა იყოს ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმის. ასევე, მითითებული უნდა იყოს პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წყარო. როგორც წესი, ასეთ წყაროს წამოადგენს ფინანსური ინსტიტუტის ვებგვერდი ან სატელეფონო საკომუნიკაციო საშუალება. მითითებული უნდა იყოს მაქსიმალური ვადა პასუხის მიღებისათვის თითოეული ფორმით გამოხატულ პრეტენზიაზე. აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს. მითითებული უნდა იყოს ფინანსური ინსტიტუტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც შესაძლებელია პრეტენზიის წარდგენა, ასევე პრეტენზიების განხილვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმები.

გ) სესხის ხელშეკრულებაში სავალდებულოა მიეთითოს ინფორმაცია დავების გადაწყვეტის წესის შესახებ, ხოლო არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია სასამართლოს გარეშე გასაჩივრების წესისა და ანაზღაურების შესახებ. როგორც წესი, ფინანსური ინსტიტუტები დავების გადაწყვეტის მექანიზმად ხელშეკრულებაში აფიქსირებენ სასამართლოს ან არბიტრაჟს, ან ორივეს კომბინირებულად თანხების ოდენობების გამოიჯვანით.

დ) სესხის ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს სესხის ტიპი. აღნიშნულში შეიძლება იყოს სალომბარდო სესხი, იპოთეკური სესხი და ა.შ.

ე) სესხის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს სესხის მთლიანი თანხიდან მისაღები თანხის პირობები, მათ შორის: სესხის მთლიანი თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით დარჩენილი გასატანი თანხის ოდენობა, პერიოდულობა/გატანის თარიღები და გატანების საერთო რაოდენობა. შესაძლებელია სესხის მთლიან თანხას აკლდებოდეს სესხის გაცემის საკომისიო, ამასთანავე სესხის გაცემა შეიძლება მოხდეს რამდენიმე ტრანშად სხვადასხვა თარიღში ან გარკვეული პირობის შესრულების გათვალისწინებით, რაც დეტალურად უნდა აისახოს სესხის ხელშეკრულებაში.

ვ) სადაც შესაძლებელია, სესხის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს სესხის დასაფარად შენატანების ოდენობა, სიხშირე/შენატანების განხორციელების მაქსიმალური ვადები და საერთო რაოდენობა, შენატანების ოდენობა გამოსახული უნდა იყოს სულ მცირე თანხობრივად. სესხის გადახდა როცა გრაფიკითაა გათვალისწინებული, შესაძლებელია მარტივად განისაზღვროს შენატანების ოდენობა, შენატანების განხორციელების მაქსიმალური ვადები და შენატანების საერთო რაოდენობა (ოდენობა).

ზ) ერთდროულად ერთზე მეტი ვალდებულების არსებობისას, სესხის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს ვალდებულებათა დაფარვის პრიორიტეტულობა, თუ მომხმარებლის მიერ არ მოხდება ამ ვალდებულებების დაფარვის რიგითობის არჩევა. მაგალითად, ამ შემთხვევაში ფინანსურმა ინსტიტუტმა შეიძლება იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლით, რომლის თანახმად: თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება, და ის, რაც შესრულდა, არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს; ხოლო, თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა. თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.

აღნიშნული მოვალის უფლებების დაცვას ემსახურება. სამოქალაქო კოდექსი შესრულების არჩევანის პრიორიტეტს მოვალეს ანიჭებს. ასეთი მიდგომა იმ გარემოებას ემყარება, რომ მოვალემ ყველაზე უკეთ იცის, რომელი ვალია მისთვის ყველაზე მძიმე და რომელი მათგანის გასტუმრების შემთხვევაში იქნება იგი დაზღვეული დამატებითი ხარჯებისაგან.⁷

თ) პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა დაიცვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი დანაწესი, რომლის თანახმად: სესხის გაცემის შემთხვევაში ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის. სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული 0.27 პროცენტის მიზნებისათვის, გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ/დაკისრებულ პირგასამტეხლოსა და ნებისმიერი ფორმის ფინანსურ სანქციაში არ გაითვალისწინება სესხის ვადის გადაცილებისას (ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე) პირგასამტეხლოს სახით ერთჯერადად არაუმეტეს 20 ლარის (ან უცხოური ვალუტით მისი ეკვივალენტის), აგრეთვე სესხის რეფინანსირების ან სესხის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის საკომისიოს დაკისრება. სესხის ვადის გადაცილებისას ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (მათ შორის, სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ისეთი ხარჯების, რომლებიც

⁷ *მესხიშვილი, ქ.* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის კომენტარი, წიგნი III, რედ.: ლ. ჭანტურია, თბილისი, 2019, 540.

შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

ო) ფინანსურმა ინსტიტუტმა სესხის ხელშეკრულებაში უნდა გაითვალისწინოს ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები და პროცედურები.

კ) სესხის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს სესხის ვადაზე ადრე დაფარვის უფლება და შესაძლო დამატებითი ხარჯები, რომელიც წარმოიშობა ამ უფლების გამოყენებისას, აღნიშნული ხარჯების სიდიდე ან გამოთვლის მეთოდი, მათ შორის, სესხზე საშეღავათო პერიოდის არსებობისას, სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტის და სხვა ხარჯების დაფარვის პრინციპი/წესი.

აღსანიშნავია, რომ ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია მის მიერ გაცემული კრედიტის სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების ან მომხმარებლის საკუთარი სახსრებით წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში მომხმარებელს დააკისროს და მოსთხოვოს საკომისიო და/ან პირგასამტეხლო ან ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს და/ან პირგასამტეხლოს, თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისათვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის გათვალისწინებით, შემდეგი ოდენობით:

1) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში: 1.1) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა; 1.2) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა; 1.3) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-ისა.

2) ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში: 2.1) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა; 2.2) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა;

3) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა.

ლ) სესხის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს, რომ კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხით არ მოხდება კრედიტის წინსწრებით დაფარვა ავტომატურად, თუ ამას არ ითვალისწინებს ხელშეკრულება.

მ) სესხის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილი თავდებობა, უზრუნველყოფის საშუალება და დაზღვევა, ასეთის არსებობისას.

ნ) თუ მომხმარებელი ფინანსური ინსტიტუტისგან იღებს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკრედიტო მომსახურების მიღებისათვის სავალდებულო სხვა სახის დამატებით მომსახურებას, ყველა ფინანსური ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული დამატებითი მომსახურების მიღებასთან.

ო) ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს ფინანსური ინსტიტუტის დასახელება, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის (საიდენტიფიკაციო) ნომერი, სამართლებრივი ფორმა, საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის/ლიცენზირების ფორმა, რეგისტრაციის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ფინანსური ინსტიტუტის საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი.

პ) ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მომხმარებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები. მაგ: უძრავ-მოდრავი ქონების დაყადაღება, რეალიზაცია და სხვ.

ჟ) ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს სესხის დაფარვის გრაფიკი, იმ შემთხვევაშიც, თუ სესხზე დარიცხული პროცენტის და ხარჯების გადახდა ხდება ძირის ამორტიზაციის გარეშე. თუ საპროცენტო განაკვეთი არ არის ფიქსირებული ან გრაფიკით გადასახდელი ფინანსური ხარჯები შეიძლება შეიცვალოს სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, გრაფიკში გარკვევით უნდა ჩანდეს, რომ მასში მოცემული მონაცემები მოქმედი იქნება მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის ან სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გრაფიკით გადასახდელი ფინანსური ხარჯების ცვლილებამდე.

მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულებაში ინფორმაცია გასაგებად იყოს ფორმულირებული და მოცემული ადვილად წასაკითხი. ფონტის ზომა არ უნდა იყოს 10-ზე ნაკლები.

დასკვნა

ნაშრომში განხილული რეგულაციების შესწავლის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა მნიშვნელოვანი ჩარევა ფინანსური ინსტიტუტის მიერ გასაფორმებელი სესხის ხელშეკრულების პირობებში. ერთი მხრივ, აღნიშნული შეიძლება შეფასდეს ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვად, თუმცა ამავე დროს შეიძლება ითქვას, რომ არსებული რეგულაციები მაქსიმალურად ხელს უწყობს მომხმარებელთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას და მათი ინტერესების დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ დადებითად უნდა შეფასდეს ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესით გათვალისწინებული რეგულაციები, არის მასში გარკვეული დებულებები, რომლებიც გარკვეულ დახვეწას და გაუმჯობესებას საჭიროებენ.

ზემოაღნიშნული წესი ითვალისწინებს, რომ როგორც ხელშეკრულების თავსართში, ასევე თავად ხელშეკრულებაში მითითებული იყოს მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა. აღნიშნული თანხა ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ შეიძლება დაექვემდებაროს კორექტირებას, თუ, მაგალითად, მსესხებელი წისწწრებით დაფარავს სესხს. ამიტომ როდესაც ამ ინფორმაციის მითითება სავალდებულო წესად იქცა, სასურველია უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის ისიც მიეთითოს, რომ მოცემული თანხა ექვემდებარება კორექტირებას ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში. ასევე, თუ მომხმარებელს პირგასამტეხლოს გადახდა მოუწევს ვადის გადაცილების გამო, რა თქმა უნდა მის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხა დაექვემდებარება კორექტირებას, ამიტომ ვფიქრობთ შემოთავაზებული სავალდებულო დანაწესი გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს.

ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი ითვალისწინებს, რომ როგორც ხელშეკრულების თავსართში, ასევე თავად ხელშეკრულებაში მითითებული იყოს კრედიტის ვადა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ვფიქრობთ, ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამატებით მითითება საკრედიტო ხელშეკრულებებში გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს, რადგან უმრავლეს შემთხვევებში მათი მოქმედების ვადები ანალოგიურია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სესხის ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

ამრიგად, სასურველია ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში გარკვეული საკითხები უფრო მეტად ნათელი გახდეს და დაიხვეწოს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დოკუმენტს დიდი წვლილი შეაქვს მომხმარებლის ინფორმირებულობის კუთხით.

ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
2. საქართველოს 2016 წლის 29 დეკემბრის კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3534478?publication=0#DOCUMENT:1;>> [10.05.2021].
3. საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4273979?publication=0#DOCUMENT:1;>> [10.05.2021].

4. განმარტებითი ბარათი, საქართველოს კანონის პროექტზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: < <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/186591?> > [10.05.2021].
5. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 2016 წლის 23 დეკემბრის №151/04 ბრძანება ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ.
6. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანება ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე.
7. *ავტორთა კოლექტივი: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., და სხვები, რედ.: ჯუღელი ი., სახელმწიფო სამართალი (სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2014.*
8. ზოიძე ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 384-ე მუხლის კომენტარი, წიგნი III, რედ.: ლ. ჭანტურია, გამომცემლობა „სამართალი,“ 2001.
9. *დუნდუა ლ., კაკუშაძე გ.,* სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული თანამედროვე ცვლილებები, როგორც ჭარბვალუანობისგან დაღწევის საშუალება?!, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, N 3-4 (43-44), თბილისი, 2018.
10. მესხიშვილი, ქ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის კომენტარი, წიგნი III, რედ.: ლ. ჭანტურია, თბილისი, 2019.